

# შეგახსენებთ, 13 მაისს საქართველოში პირველად აღინიშნება ოლიმპიური დღე როგორ ვეშაღებოთ?



საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

6 მაისი, კვირა, 1990 წ.  
№ 84 (10 258) • შპნ 8 კაბ.

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან



როგორც უკვე ვიწუებოდით, მიმდინარეობს უნივერსიადა-90 საქართველოს უმაღლეს სახვადღებლებ შორის. გუშინ ვერის ბაღის ბავშვთა კლავბურთის სახახლეში დამთავრდა უნივერსიადის პროგრამით გათვალისწინებული კალათბურთულ ქალთა შეხვედრები. გადამწყვეტ მატჩში ფიჭულტურის ინსტიტუტის გუნდმა ანგარიშით 77:54 დაამარცხა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი და პირველი ადგილი დაიხაკურთა.

სურათზე: გამარჯვებული გუნდი.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

## შეიქმნა რეგიონალური ჩაკუბი „სამეგრელო“

ზუგდიდის კადრაკის სახლში გაიმართა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის მხარდამკერი რეგიონალური ჩაკუბის „სამეგრელოს“ პირველი სხდომა. ამ ჩაკუბის შემადგენლობაში არიან ქ. ზუგდიდის, ქ. ფოთის, სენაკის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, აბაშის, ხობისა და მარტვილის რაიონების წარმომადგენლები.

სდომამდე გაიმართა გულახდილი საუბარი „სამეგრელოს“ მუშაობის თაობაზე. რეგიონში შემავალი ქალაქებისა და რაიონების წარმომადგენლებს ეთხოვათ, ადგილებზე შექმნათ ანალოგიური ჩაკუბები (აქ გაერთიანდებიან ოლიმპიური მოძრაობის მხარდამკერი ადამიანები) და ხელი შეუწყონ როგორც რეგიონალური ჩაკუბის, ასევე ადგილობრივ სპორტულ ორგანიზაციებთან ერთად სპორტსმენთა მომზადებასა და შეჩვენების საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდებისთვის, ფიზიკური კულტურისა და ტურისმის ფართოდ დაწერგავს, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მხარდამკერი რეგიონალური ჩაკუბის „სამეგრელოს“ თავმჯდომარედ აირჩიეს ზუგდიდის აგროსამეგრელო გაერთიანების თავმჯდომარე, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წევრი მურმან დემურია.

წევრთა შტანდია „ლელოს“ ხაკ. კორ.

## ნოდებები დამსახურებისათვის

მოსკოვში ჩატარდა სსრ კავშირის ძიუდოს ფედერაციის საკავშირო კონფერენცია, რომელმაც განიხილა ბევრი აქტუალური საკითხი და დაამტკიცა ახალი წესდება. ფედერაციის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ აირჩიეს საკავშირო სპორტსაკომის მთავარი მწვრთნელი გ. კალეტიანი, მოადგილეებად კი ცსკა-ს უფროსის მოადგილე ს. ლავროვი და სპორტის დამსახურებული ოსტატი ი. პრესია.

კონფერენციის დახასრულს ძიუდოს საკავშირო ფედერაციის თავმჯდომარემ პ. ბოგდანოვმა და სსრ კავშირის სპორტსაკომის თავმჯდომარის მოადგილემ ა. კოლესოვმა სპორტის დამსახურებული ოსტატის სამკერდე ნიშნები გადასცეს მსოფლიო ჩემპიონებს, ქართველ ძიუდოსტებს ამირან ტოტიკაშვილსა და კობა კურტანიძეს, აგრეთვე, მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორს ვ. შესტაკოვს. საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის მოწმობები მიიღეს შოთა ხაბარელმა და ვ. ლუზინმა.

## ნაკრები — ერთი თბილისელი

პოზნანში (პოლონეთი) დაიწყო ევროპის 33-ე ჩემპიონატი თავისუფალ კიდაობაში, რომელშიც სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობენ საბჭოთა ათლეტები.

ნაკრების შემადგენლობაში შეყვანილი არიან: ევროპის ჩემპიონები, მსახრეალები ნასირ გაჯიხანოვი და ვაგიბ კახიბეკოვი, გროდნოელი არავატ საბევი, ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი, ორჯონიკელი ვლადიმერ თოგუზოვი, მსოფლიოს ჩემპიონი ახალგაზრდებში, კალინინგრადელი ანდრეი შუმლინი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, თბილისელი შამილ მაჰმედოვი, „მეგობრობა-84“-ის ვერცხლის პრიზიორი მახაჩალაი ლუკმანაბრაილოვი, მისი თანაქალაქელი ალისულთან ალისულთანოვი, ლენინგრადელი რაგიფ მამედოვი და კრასნოიარსკელი აბდულა მაჰმედოვი.

## შედეგები ჩემპიონატი


გლდანის ოლიმპიური რეზერვის რესპუბლიკურ სასწავლებელში კარგა ხნის შემდეგ კვლავ განახლდა ველოსპორტის კულტივირება. შედეგად არ დაყოვნა.

ამას წინათ ჩემპიონატი გამართულ ქვეყნის პირად პირველობაზე საგზაუკილო ველოსპორტში წარმატებას მიიღწია სასწავლებლის აღსაზრდელმა, 17 წლის მინდია გერგელავამ. იგი პირველი იყო 17-18 წლის ქაბუკთა შორის 120-კილომეტრიან ჩაკუბურ რბოლაში. გამარჯვებულმა მანძილი 2 საათსა და 50 წუთში დაფარა.

ნიჭიერი ველომრბოლი „ოლიმპიურ სასწავლებელში“ გალის რაიონის სოფელ კიბურხინიდან მოვიდა. იგი მეოთხე წელი ვარჯიშობს ველოსპორტში, არის საქართველოს მოსწავლეთა მრავალგზის ჩემპიონი და საკავშირო პირველობის პრიზიორი ქაბუკებში.

ჩაკუბურ რბოლაში გერგელავასთან ერთად გამოდიოდა სასწავლებლის კიდევ ოთხი მოსწავლე — მალხაზ კურკუმელი, თებურ აქუბარდია, დავით შავგულიძე და კახა ხარაბაძე. აღსანიშნავია, რომ მ. გერგელავამ ჩვენს გუნდს ჩასათვლელი ქულეები მისცა კრიტერიუმშიც.

განმა ბაბრიაძე.



## სოტა დრო დარჩა

ორიოდე თვეც და დაიწყება სასპორტაკადო ციებ-ციხლება. ჩვენი მოსწავლე ფრენბურთელების სასახლეოდ უნდა ითქვას, რომ კარგად გაართვეს თავი წლებანდელ მოსამზადებელ სეზონს და რესპუბლიკური თუ საკავშირო შეჯიბრებების მრავალგზის პრიზიორები გახდნენ.



ყველა, ადრე ჩატარებული შეჯიბრება, ერთ მთავარ მიზანს ემსახურებოდა — შექმნილიყო მოსწავლე-ქაბუკთა და გოგონათა გუნდების ძირითადი ბირთვი, რომელიც საკავშირო სპორტაკადოზე დაიცავს ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას. პერსპექტიულ მოსწავლეთა შერჩევას ითვალისწინებდა რესპუბლიკური პირველობაც, რომლის ფინალური თამაშებიც ახლახანს ჩატარდა ბათუმში. მასში მონაწილეობდნენ 1975-76 წლებში დაბადებული მოსწავლე ფრენბურთელები.

ქაბუკთა შორის პირველი ადგილი დაიკავა თბილისის ნაკრებმა (მწვრთნელი — რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი ა. იგნატიევი), მეორე ადგილზე კავშირდა აჭარის, მესამეზე კი ქუთაისის გუნდები.

გოგონათა შორისაც თბილისელებმა იმარჯვეს (მწვრთნელი — სპორტის ოსტატი ვ. ტაჩეკო), მეორე ადგილი გორელ მოსწავლეებს ხვდათ, მესამე — აჭარელ გოგონებს. თბილისელებს მომზადების დონით გორელი სპორტსმენები დიდად არ ჩამორჩებოდნენ. ისინი ღირსეულად იბრძოდნენ ბოლომდე და თბილისის გუნდს დიდი ჯაფა დაადგათ მათთან გამარჯვების მისაღწევად.

უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის გუნდები ძირითადად დაკომპლექტებულია სახალხო განათლების სამართველოს ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა ფრენბურთის სასპორტო სკოლის (დირექტორი გ. იმნაძე) მოსწავლეებით.

ნანა გოგოლაშვილი.



მწი ფრანგენტი რესპუბლიკის სპორტული ცხოვრებიდან — ეს ფოტოები გუშინ გადაიღო ჩვენმა რეპორტიორმა ალექსანდრე კოტორაშვილმა. მარცხენა სურათზე თავისუფალ კიდაობაში საქართველოს X სპორტაკადის ერთ-ერთი შეხვედრის ეპიზოდია აღბეჭდილი. ახარეზობა გუშინ დაიწყო თბილისში. მარჯვნივ — მიმდინარეობს ვ. ლუკმანაბრაილოვის ტრადიციული ტურნირი ჩოგბურთში.

## გულმოდგალევა

პირველი ჩაკუბის ინვალიდმა ქეგელმა სპორტსმენმა გიორგი რთველიაშვილმა მერაბ კოსტავას ფონდში ასი მანეთი გადაიტაცა.

## კუკო-ს ნახებით

პარატმს მოყვარულებს საშუალება ეძლევათ თვალყური ადევნონ საქართველოს პირველობას კარატეში მოზარდთა შორის (16-18 წელი), რომელიც სოხუმში 12 და 13 მაისს ჩატარდება. ამ შეჯიბრებას აწყობს საქართველოს ქართული და აღმოსავლური ორთაბრძოლების ასოციაცია. ასპარეზობა გაიმართება კარატეს მსოფლიოს ორგანიზაციების კავშირის („კუკო“) წესებით სპორტულ ორთაბრძოლებში (კუმიტე) და ფორმალურ ვარჯიშებში (კატა). კარატეს შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ მოზარდები ასაკის შეუზღუდავად (18 წლამდე). გუნდების ჩასვლის დღეა 11 მაისი. მონაწილეთა რეგისტრაცია აფხაზეთის სპორტკომიტეტში მოეწყობა:





